ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

სს ენერგო-პრო ჯორჯია
O.№ 2353047
„21" 07 2022
JSC ENERGO-PRO GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ქალბატონო თამარ,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია" გეგმავს 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადაცემი ხაზი „წნისის" გაჭრას და შესვლა-გასვლის მოწყობას 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხეში".

საპროექტო მონაკვეთის მოწყობა იგეგმება ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მიზნით.

ეგხ-ის ტრასის სიგრძე შეადგენს 1.651 კმ-ს და იგეგმება 12 საყრდენის მოწყობა.

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტით - 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა წარმოადგენს ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს - „110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „წნისი-1"-ის შესვლა-გასვლა 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხეში".

დანართი:

- სკოპინგის ანგარიში - „110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „წნისი-1"-ის შესვლა-გასვლა 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხეში" - ბეჭდური ვერსია;
- CD - სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია, Shp ფაილები.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„25" 07 2022
№ 3486

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შემსრულებელი: ლევან იოსელიანი /ტელ: 577 35 13 97